მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2022 წელი, №3

ჯულუჯის მინისტრის საქმიანი ვიზიტი სვანეთში

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი სამუშაო ვიზიტით სვანეთში იმყოფებოდა, სადაც შეხვედრა გამართა სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებთან.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს სსიპ ეროვნული მუზეუმების გაერთიანებაში განსაკუთრებული, ავტონომიური სტატუსი მიენიჭა და მის დირექტორად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი ზვიად კვიციანი დაინიშნა.

მინისტრმა ზვიად კვიციანისგან მოისმინა ინფორმაცია მისი დირექტორად დანიშვნიდან დღემდე შესრულებული სამუშაოების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მინისტრის მიერ სწორედ ზვიად კვიციანს დაევალა მუზეუმში ინვენტარიზაციის პროცესის წარმოება, რომლის შემაჯამებელი მასალებიც სამინისტროს უკვე გადაეცა.

ზვიად კვიციანის ინიციატივით დაიწყო ასევე სვანეთის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიებში თავმოყრილი სიძველეებისა და ექსპონატების აღწერა და დადარება-შეჯერება, რაც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში არ მომხდარა.

ამ მიზნით, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მუზეუმის მხარდაჭერის საბჭო“, რომელიც შესაბამის ორგანიზაციებთან მჭიდრო, კოორდინირებული თანამშრომლობით ახორციელებს პროცესს, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და გადარჩენას გულისხმობს.

ინფორმაციის წყარო სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი

მესტიის საავადმყოფო - ამბულატორიული გაერთიანება ხალხის სამსახურში

,,მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება" აქტიურადაა ჩართული მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროექტებში და ადგილზე შესაძლებელი მომსახურების გარდა, მოსახლეობას საშუალებას აძლევს ხშირად ისარგებლოს მოწვეული პროფესიონალი ექიმების მომსახურებით, რაც უმეტეს შემთხვევაში არის უფასო.

მოგეხსენებათ, მესტიის მუნიციპალიტეტი არის სამთო-საკურორტო ზონა, სადაც სტუმრობენ ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტები, რომლებიც ასევე დაკავებული არიან ექსტრემალური სპორტით და ხშირად იღებენ ტრავმულ დაზიანებებს. მიმდინარე წლის მანძილზე საავადმყოფოში მოწვეული ტრავმატოლოგ-ქირურგების მიერ ჩატარდა უამრავი ოპერაცია და ტრავმატოლოგიური პროცედურები.

2 მაისიდან საავადმყოფოში ამუშავდა ჰემოდიალიზის პროგრამა, რის შემდგომაც საცხოვრებლად სხვა რეგიონში გადასული პაციენტები მშობლიურ რაიონს დაუბრუნდნენ და ადგილზე სარგებლობენ აღნიშნული პროგრამით.

ჰემოდიალიზით სარგებლობენ ასევე პროგრამაში ჩართული დამსვენებლებიც.

ივნისის თვეში მესტიის საავადმყოფოში მოწვეულ იქნა ოფთალმოლოგი ალექსანდრე ალექსიძე, რომელმაც კონსულტაციების შემდეგ ადგილზე ჩაატარა ოპერაციებიც.

18 ივნისს, ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტისა და ვასილ ჩაჩიბაიას ფონდის მიერ მესტიის საავადმყოფოში ჩატარდა უფასო გასინჯვები

შაქრიანი დიაბეტისა და

ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების მქონე პაციენტებისათვის. გასინჯვებს ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის დირექტორი- ენდოკრინოლოგი და ფონდის დამფუძნებელი, პროფესორი ქალბატონი ელენე გიორგაძე.

პაციენტებს კონსულტაცია გაუწიეს ინსტიტუტის მედიცინის დოქტორ -ენდოკრინოლოგებმა.

მესტიაში მიმდინარეობდა ასევე კარდიოლოგიური პროფილის დაავადებების მქონე პირთა უფასო სამედიცინო მომსახურების აქცია.

აქცია მოიცავდა კარდიოლოგიური (გულის დაავადებები, არტერიული ჰიპერტენზია-წნევა) პროფილის პაციენტთა უფასო კონსულტაციებს და გამოკვლევებს, თბილისის გულის ცენტრის" სამედიცინო პერსონალის მიერ (ექიმი-კარდიოლოგის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრამა, ექოკარდიოგრაფია).

მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიულ გაერთიანებაში ჩატარებული კარდიოლოგიური კვლევით ისარგებლა 85-მა ბენეფიციარმა.

5 აგვისტოს მესტიის საავადმყოფოში კენ ვოლკერის კლინიკის ბავშვთა მიმართულებების რეაბილიტაციის ცენტრის თანამშრომლის ნინო ხვინთელიანის მიერ ჩატარდა ბენეფიციართა უფასო კვლევა -კონსულტაციები.

მოსახლეობის უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩატარდა ასევე ჭუბერისა და მულახის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

მესტიის საავადმყოფო- ამბულატორიული გაერთიანება ისევ აქტიურად გეგმავს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვას და ყოველი დაგეგმილი კვლევების შესახებ წინასწარ აცნობებს მოსახლეობას საავადმყოფოს ფბ გვერდის მესტიის საავადმყოფო/ Mestia Hospital, ასევე საკრებულოს გვერდის საშუალებით.

მადლობა მესტიის საავადმყოფო- ამბულატორიულ გაერთიანებას მოსახლეობისადმი გაწეული თანადგომისათვის.

ჯანმრთელობას გისურვებთ ყველას!

კვირიკობის დღესასწაული

უხსოვარი დროიდან სვანეთში, მესტის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაში 28 ივლისს წმინდა კვირიკესა და ივლიტას წამების დღეს, აღინიშნება რელიგიური დღესასწაული კვირიკობა, რომელსაც სვანეთში ლაგურკას ეძახიან.

წმინდა კვირიკესა და ივლიტას მიმართ ოჯახური ბედნიერებისა და სნეულ ყრმათა მსწრაფლ განკურნებისათვის ლოცულობენ.

ადრე დაქვრივებული ქრისტესმოსავი კეთილშობილი ქალბატონი ივლიტა თავის სამი წლის ვაჟთან, კვირიკესთან ერთად ცხოვრობდა მცირე აზიის ქალაქ იკონიაში. დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანების დევნის დაწყების შემდეგ ივლიტა მმართველთან დაიბარეს. ის სამსჯავროზე თავისი სამი წლის ძით ხელში მივიდა და ქრისტიანობა თამამად გამოაცხადა. განრისხებული მსაჯულის ბრძანებით ივლიტას შვილი ხელიდან გამოგლიჯეს და ხარის ძარღვით დაუწყეს ცემა. დედის წამების შემყურე კვირიკე ტიროდა. ბავშვის სილამაზით მოხიბლულმა მმართველმა ის კალთაში ჩაისვა და ფერება დაუწყო, მაგრამ კვირიკე არ ჩერდებოდა: „მეც ქრისტიანი ვარ!“ – ტიროდა და დედისკენ მიიწევდა. მმართველმა მძლავრად მოისროლა კვირიკე, რომელმაც კიბეს დაჰკრა თავი და სული განუტევა. ივლიტასაც თავი მოჰკვეთეს. ისინი დაახლოებით 305 წელს აწამეს.

საქართველოში ოდითგან დიდი პატივით იყო მოსილი ამ წმიდანთა სახელები. წმიდა კვირიკეს ხელის მტევანი საქართველოში, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

წმინდა კვირიკეს ტაძარი აგებულია XI საუკუნეში და ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლია. აქ დაცულია წმინდა კვირიკეს რამდენიმე უძვირფასესი ხატი XI-XII საუკუნეებისა და შალიანის მინანქრიანი ხატი, რომელშიც ჩატანებულია ჯვარიცხოვლის ნაწილი.

„შალიანი“ ის ხატია, რომლის სახელსაც უშუალოდ უკავშირდება ამ ტაძრის აგება.

თქმულების თანახმად, იმერეთის მეფესთან სამუშაოდ ჩასულან სვანები, რომელსაც მათთვის გეგუთის მინდვრების მოთიბვა დაუვალებია. მათ შორის ყოფილა ერთ-ერთი კაცი, სახელად შალიანი, რომელიც მეფეს შეპირდა რომ 100 კაცის მოსათიბს ერთ დღეში მოთიბავდა მარტოდმარტო მის მიერ მოთხოვნილი გასამრჯელოს ფასად. მეფე დათანხმდა და შალიანისაც ერთ დღეში მოუთიბავს 100 კაცის მოსათიბი მინდორი და მეფისთვის სწორედ ამ ძვირფასი ხატის ბოძება უთხოვია. სვანეთში დაბრუნებული შალიანი მძარცველებს მოუკლავთ, ხატი გაუტაციათ და მის დასაბინავებლად სწორედ ეს ეკლესია აუგიათ. ეკლესიისთვის ადგილი კი ასე შეურჩევიათ: შეაბეს უღელში მოზვრები და გაუშვეს. ეკლესია უნდა აეგოთ იქ, სადაც მოზვრები გაჩერდებოდნენ, და ამბობენ, რომ სწორედ იმ ადგილას შეჩერდნენო მოზვრები, სადაც ეხლა კვირიკეს ეკლესიაა. ააგეს ეკლესია, დააბრძანეს განძი და მას შალიანის ხატი უწოდეს.

ამიტომაც, დიდი ბოროტებისა და დანაშაულის ჩამდენის აღმოსაჩენად, შენიშნულ პირებს ამ ხატზე აფიცებენ და არ ყოფილა შემთხვევა, რომ სვანს ფიცის დროს თავისი დანაშაული არ ეღიარებინოს.

შალიანისთვის ხელის ხლება წელიწადში მხოლოდ ორჯერ შეიძლება: აღდგომის კვირის შაბათს და 28 (15) ივლისს კვირიკობის დღესასწაულზე.

ამჟამად კალას თემის ეკლესიების მთელი საგანძური ლაგურკის ეკლესიაშია თავმოყრილი. ხატები წმ. კვირიკეს გამოსახულებით მხოლოდ სვანეთშია დაცული. ლაგურკის ეკლესიამ წმ. კვირიკეს ათი ხატი შემოგვინახა, რომლებიც სხვადასხვა დროს მიეკუთვნება და წარმოადგენს მას ტრადიციულად, როგორც მოწამეს ჯვრით ხელში. ეს ხატები სპეციალურად ლაგურკის ეკლესიისთვის იყო შესრულებული.

ტაძარი მოხატულია დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის კარის მხატვრის თევდორეს მიერ.

გაზეთ „ლილე„-ს სახელით ყველას გილოცავთ კვირიკობის დღესასწაულს. შეგეწიოთ წმინდა კვირიკესა და ივლიტას მადლი და წმინდანების მეოხებით უფალმა ინებოს გვეცხოვროს ერთიან და მშვიდობიან საქართველოში.

ფოლკლორული ანსამბლი „„შგარიდა“ 20 წლის იუბილეს აღნიშნავს

ანსამბლი „შგარიდა“, 2002 წელს, დმანისში სვანეთიდან სტიქიური უბედურების შედეგად ჩასახლებული პირების ინიციატივითა და ლოტბარ გურგენ გურჩიანის ხელმძღვანელობით შეიქმნა. ანსამბლის შექმნის მიზანი იყო მივიწყებული სვანური მუსიკალურ-ფოლკლორული ნიმუშების მოძიება, აღდგენა, დამუშავება და საზოგადოებისთვის წარდგენა. ანსამბლისთვის „შგარიდას“ დარქმევა კი ანზორ ერქომაიშვილთან ერთად კონსულტაციის შედეგად გადაწყდა.

მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ცხოვრების პერიოდში, გურგენ გურჩიანმა მეოცე საუკუნის 80-იან წლებში საკუთარი ინიციატივით დაიწყო სვანური მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების ძიება და ჩაწერა. ექსპედიციური წესით მოიარა ზემო სვანეთის ყველა სოფელი, შეხვდა მოხუც ეთნოფორებს, რომელთაც ჯერ კიდევ ახსოვდათ ფაქტობრივად მივიწყებული სიმღერა-საგალობლები. მათგან ერთ ხმაში ჩაწერა 20-ზე მეტი სხვადასხვა ჟანრის სიმღერა. დმანისში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ კი მან ქვემო ქართლში თითქმის ყველა სვანური დასახლება მოიარა და 10-მდე სიმღერის ჩაწერა მოახერხა.

მოპოვებული მასალების გაცოცხლებისა და საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, გურგენ გურჩიანმა 2002 წელს ქალაქ დმანისში სვანი ეკომიგრანტებისაგან შექმნა ფოლკლორული ანსამბლი „შგარიდა“.

დღეისათვის ანსამბლის რეპერტუარში 40-ზე მეტი აღდგენილი, უმეტესად - რელიგიურ-სარიტუალო ჟანრის სიმღერაა, რაც უდიდესი წვლილია სვანური და ზოგადად, ქართული ფოლკლორის განვითარების საქმეში. ანსამბლის რეპერტუარში განსაკუთრებით გამორჩეულია ღმერთის სადიდებელი ჰიმნი ,,კვირია“, სარიტუალო სიმღერა ,,ადრეკილა“, ,,იავ ქალთი - ქალთიდ“, ,,მირმინქელა“ და სხვა ნიმუშები, რომლებიც მუსიკალური ფოლკლორის შედევრებს წარმოადგენენ.

ანსამბლი აქტიურად მუშაობს მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მრავალმხრივ კვლევაზე და, შედეგად, ამ ფოლკლორული ნიმუშების სოციალური დანიშნულების განსაზღვრაზე.

არსებობის 20 წლის მანძილზე, ანსამბლს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ კულტურულ ღონისძიებაში, ფესტივალსა თუ კონკურსში.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით ულოცავთ ანსამბლ „შგარიდას“ წევრებსა და ხელმძღვანელობას 20 წლის იუბილეს და წარმატებულ და ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ვუსურვებთ.

KVIRA.GE

"STREAM სამყარო"

ფარის ინოვაციური ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტი "STREAM სამყაროს" პირველი სეზონი დასრულდა.

პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებში STEAM საგნების პოპულარიზება მხატვრულ ლიტერატურასთან ინტეგრირებით.

პროექტის იდეის ავტორი გახლდათ მესტიის მუნიციპალიტეტის ფარის საჯარო სკოლის პედაგოგი და ფარის ინოვაციების ცენტრის ხელმძღვანელი, ეკა წულუკიძე. პროექტი თანამედროვე STREAM მიდგომას ეფუძნება და ახალგაზრდებში მრავალმხრივი უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული.

პროექტში ჩართული იყო 12 დან 17 წლამდე 30 ახალგაზრდა, საქართველოს 9 მუნიციპალიტეტიდან.

პროექტის შედეგად, კლუბის წევრებმა წაიკითხეს წიგნები, დაამუშავეს STEAM ჭრილში. გაიუმჯობესეს კომპიუტერული უნარ-ჩვევები და შეისწავლეს სხვადასხვა ონლაინ ინსტრუმენტები.

შეხვდნენ საინტერესო სტუმრებსა და მწერლებს.

კლუბის სტუმრები გახლდნენ:

ტორესა მოსი- "ორდროშობანას" ავტორი.

ნინა ჭიპაშვილი, ნეფერტარი, "ბედუინის" ავტორი.

გიორგი მასხარაშვილი, ნილს სიმეონი, -"14 კრისტალის თეორიის" ავტორი

მარიამ ახალკაციშვილი, თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, გეოლოგიის ასისტენტ პროფესორი -"კრისტალოგრაფია და კრისტალები"

სანდრო ასათიანი, კიბერ ლაბორატორია უნილაბის დირექტორი, ილიაუნის პროფესორი - ,,ხელოვნური ინტელექტი".

ლაურა გოგოლაძე, ჟურნალ "ხარაგაულის ხმის" დამფუძნებელი და რედაქტორი,-,,ჟურნალისტიკის შესავლები".

ტიტიკო შერგელაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,-,,განახლებადი ენერგია".

ბესიკ მაჩიტაძე, სსიპ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის გეოგრაფიის პედაგოგი, თემა ,,ტოპოგრაფია და კოორდინატების დადგენა".

ხათუნა გოგალაძე, ასოციაცია "ბიოს" დამფუძნებელი, ბიოლოგიის პედაგოგი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულის წევრი- ,,ხოჭოები დედამიწაზე".

თინიკო ზარდიაშვილი, ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მენტორ პედაგოგი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულის წევრი- ,,ტუტე მჟავა".

გიორგი ედიშერაშვილი, ახალგაზრდული მუშაკი- ,,როგორ გამოვიყენოთ Wordpress-ის პლატფორმა“.

ირაკლი შამათავა, მწერალი - წიგნის ,,33 ამბავი აფხაზეთზე" გაცნობა.

ია ღადუა, ქართულ-ევროპული სკოლის პედაგოგი და მისი მოსწავლეები - „ქართველი ქალები“.

კლუბის წევრებმა დააფუძნეს ახალგაზრდული ონლაინ გაზეთი ,,თაობა XXI".

თითოეულ კლუბს სხვადასხვა რეგიონში, ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი და წარმატებული პედაგოგები:

მარნეულის მუნიციპალიტეტის ხოჯორნის საჯარო სკოლის პედაგოგი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულის წევრი, ქალბატონი ლალი მარგიანი.

ხარაგაულის მუნიციპლიტეტის დაბა ხარაგაულის #2 საჯარო სკოლის პედაგოგი, მწვანე ჯილდოს მფლობელი, ქალბატონი თეა ტალახაძე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დაბა ჯვარის, თ.ფიფიას სახელობის #2 საჯარო სკოლის მენტორ მასწავლებელი, ქალბატონი ნინო გაბულდანი, რომელიც ასევე ხელმძღვანელობდა თეთრწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლის მოსწავლეების გუნდს.

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. წვირმის საჯარო სკოლის პედაგოგი, სოფიო ქუხილავა.

9 თვის განმავლობაში კლუბი მუშაობდა ონლაინ. კვირაში 2 დღე დატვირთული იყო ინტენსიური შეხვედრებით, წიგნის განხილვებით პრეზენტაციებით და მონაწილეებმა და კოლეგებმა ძალიან წარმატებული და ნაყოფიერი შრომა გასწიეს.

პროექტმა ხელი შეუწყო ახალგაზრდების აქტიურობას, პრეზენტაციის, ციფრული, კითხვის, წერის, შემოქმედებითი და ურთიერთთანამშრომლობითი უნარების განვითარებას.

ფარის ინოვაციური ცენტრი და პროექტის ხელმძღვანელი მადლობას უხდის თითოეულ სტუმარს, მონაწილეს და კლუბის ხელმძღვანელ პედაგოგებს.

ძალა ნამდვილად ერთობაშია.

ეკატარინე წულუკიძე

ვწვეჩოთ და ვისაუბროთ სწორად

შეცდომაა: გაბრთხილება
სწორია: გაფრთხილება

შეცდომაა:შევაჯამოდ, გავაკეთოდ, ვნახოდ, ალბად
სწორია: შევაჯამოთ, გავაკეთოთ, ვნახოთ, ალბათ

შეცდომაა: კარგათ, ნაღდათ
სწორია: კარგად, ნაღდად

შეცდომაა:შეურაწყოფა, შეურაწყობა
სწორია: შეურაცხყოფა ანუ შეურაცხად ჰყო ვინმე

შეცდომაა: რანაერი, არანაერი, რაღაცნაერი
სწორია: რანაირი, არანაირი, რაღაცნაირი

შეცდომაა:საავანტყოფო, ავანტყოფი
სწორია: საავადმყოფო, ავადმყოფი ანუ ავად მყოფი.

შეცდომაა: რეამინაცია
სწორია: რეანიმაცია, ანუ რე-ანიმაცია, ანიმაცია და არა ამინაცია

შეცდომაა:ნერვოზი და ნევრები
სწორია: ნევროზი და ნერვები

შეცდომაა: ცეროზი, პლევმონია, იმფექცია, პენისია(!)
სწორია: ციროზი, პნევმონია, ინფექცია, პენსია

შეცდომაა: გვერძე
სწორია: გვერდზე (გვერდი-გვერდზე. რუსული სიტყვა ხომ არაა, რომ „დზ“ ქართულად ვთარგმნოთ და „ძ“-დ ვაქციოთ!)

შეცდომაა: ვსვავ, ვიზავ
სწორია: ვსვამ, ვიზამ

შეცდომაა: მთასვლელი
სწორია: მთამსვლელი (სვლა-მსვლელი, კვლა-მკვლელი და ა.შ.)

შეცდომაა: ლივტი, ასვალტი
სწორია: ლიფტი, ასფალტი

შეცდომაა: ჯერეგერთი, მეორეცეგერთი
სწორია: ჯერ ერთი, მეორეც

შეცდომაა: საპატივსაცემოდ, საპატივცემულოდ
სწორია: პატივსაცემად

შეცდომაა: 3 დღის უკან, 2 წლის უკან
სწორია: 3 დღის წინ, 2 წლის წინ

შეცდომაა: რამის
სწორია: ლამის

შეცდომაა: იყვეს!
სწორია: იყოს!

და რაც მთავარია:
შეცდომაა: მადლობთ!
სწორია: გმადლობ! გმადლობთ!

და ასე შემდეგ უსასრულოდ ერთად ვიბრძოლოთ ქართული ენის გადასარჩენად!

10 აუცილებლად სანახავი ადგილი საქართველოში

საქართველო ტურისტულ მიმართულებად ბევრი რამის გამო იქცა. ქვეყანა გვთავაზობს სხვადასხვა სანახაობას, რადგანაც მას გააჩნია მდიდარი ისტორია და შესანიშნავი ადგილმდებარეობა კავკასიის მთებში. საქართველოს კლიმატი იდეალურია ტურიზმისთვის, რადგანაც აქ არასდროს ცივა ძალიან და არც ძალიან ცხელა. მაშინაც კი როდესაც ცივა შეგიძლიათ ზამთრის კურორტებს ეწვიოთ და თუ ცხელა შავ ზღვაზე გაგრილდეთ.

თუშეთი

თუ გიყვართ მთები და ღრუბლები თქვენს მხრებს ქვემოთ, მაშინ თუშეთი სათქვენო მიმართულებაა. სამწუხაროდ ქვეყნის ამ ნაწილში მიღწევა შესაძლებელი მხოლოდ ზაფხულში ან ადრეულ შემოდგომაზეა, თუმცა ზოგჯერ თუშეთში ასვლა შესაძლებელია მაისშიც, ეს დამოკიდებულია ამინდზე. საქართველოს ამ ისტორიულ რეგიონში მოხვედრა საკმაოდ რთულია, მედიაში ის დასახელებული იყო კიდეც მსოფლიოს ყველაზე საშიში გზების სიაში. მაგრამ თავგადასავლები მაშინ მოდიან მხოლოდ, როდესაც ვრისკავთ, თუ ქართველ, გამოცდილ მძღოლთან ერთად მოგზაურობთ არაფერია საშიში. ხედი თავისი სულისშემკვრელი სილამაზით გატყვევებთ და თავისუფლებისა და მშვიდობის განცდა გეძალებათ. თუშეთი არის ადგილი, რომელიც არასოდეს დაგავიწყდებათ.

ვარძია

ვარძია მისტიური ადგილია. ეს არის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი აშენებული XII საკუნეში, თამარ მეფის ეპოქაში. შთამბეჭდავი კლდეში ნაკვეთი მონასტერი აშენდა თავდაცვის მიზნით. ვარძიის ნაწილი მიწისძვრამ გაანადგურა. დღეს ბერები ცხოვრობენ კლდეში ნაკვეთ მონასტერში. საინჟინრო უნარები ადამიანებისა, რომლებმაც 365 ოთახი ააშენეს გამოქვაბულში განცვიფრებას იწვევს. იმის გამო რომ აქ ბევრი კიბეა, მზად უნდა იყოთ მასზე ასასვლელად და მზიან ამინდში არ უნდა დაგავიწყდეთ ბოთლით წყლის წაღება. კომპლექსის ზემოთ არის ფრესკებით მოხატული ეკლესია. ვარძია შესანიშნავი ადგილი იქნებოდა „სამეფო კარის თამაშებისა“ და „ბეჭდების მბრძანებელის“ გადასაღებად.

ბათუმი

ბათუმი საქართველოს ქალაქებში სიდიდით მეორეა, იგი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე. რომანტიული და მზიანი ბათუმი შესანიშნავი ადგილია მზის აბაზანების მისაღებად. ბათუმი მომხიბლავი ქალაქია, გთავაზობთ რა უამრავ გასართობს. ქალაქის ღირშესანიშნაობების ნახვა ველოსიპედით არის შესაძლებელი. მიზეზი რატომაც ბათუმი თქვენი ყურადღების მიქცევად ღირს არის ის, რომ ქალაქი გთავაზობთ სხვადასხვა სახის გასართობს. მაგალითად, შეგიძლიათ ტბასთან, „6 მაისის პარკში“ წამოწვეთ, წაიკითხოთ წიგნი, ან წაუძინოთ, ან შეგიძლიათ გამოსცადოთ ბათუმის ღამის ცხოვრება კლუბში ან რესტორანში ვიზიტით. ასევე, შეგიძლიათ გაისეირნოთ ბულვარში და გასინჯოთ რაიმე გემრიელობა, ისიამოვნოთ შავი ზღვით, გამოსცადოთ ექსტრემალური გართობა, როგორიცაა „პარასეილინგი“ და სხვა უამრავი წყლის სპორტი.

სიღნაღი

სიყვარულის ქალაქი არის ადგილი საქართველოს შესაყვარებლად. სიღნაღი ნახვად ღირს, რამდენადაც ესაა მშვენიერი პატარა ქალაქი, ვიწრო ქუჩებითა და მყუდრო ქუჩის კაფეებით. ესაა ბრწყინვალე ადგილი სახლში გაკეთებული კახური ღვინის გასასინჯად. სიღნაღს არაჩვეულებრივი ხედები აქვს ალაზნის ველსა და კავკასიონის მთებზე.

ყაზბეგი (სტეფანწმინდა)

ახლა ცნობილი როგორც სტეფანწმინდა, კიდევ ერთი მთიანი ადგილია საქართველოში, კავკასიონის მთებზე სუნთქვისშემკვრელი პეიზაჟით. თუ ფოტოგრაფია გიყვართ მაშინ მთელი დღის განმავლობაში ყაზბეგის სილამაზის გადაღებაში იქნებით. ეს ადგილი ბუნების მოყვარულთათვისაა. ყაზბეგი ლამაზია ყველა სეზონზე. სანამ ყაზბეგში იმყოფებით, არ გამოტოვოთ შესაძლებლობა, რომ ნახოთ გერგეთის სამება.

ძველი თბილისი

ძველი თბილისი გასასეირნებლად საოცარი ადგილია. პატარა ქუჩები თავისი რომანტიული ელფერით მომხიბვლელია. პატარა მაღაზიები და კაფეები ბუნებრივადაა შერწყმული არქიტექტურასთან. ძველი თბილისის ქუჩებში ხეტიალი არასდროს მოგწყინდებათ იმიტომ, რომ თქვენ გადააწყდებით პატარა მომხიბვლელ ეზოებს, ლამაზ ძველ შენობებს, მისტიურ მიტოვებულ ადგილებს და ა.შ. საქართველოს დედაქალაქის ეს ნაწილი ბევრ რამეს გთავაზობთ.

მარტვილის კანიონი

ეს მომხიბლავი ადგილი მდებარეობს საქართველოში, სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში. ეს არის ადგილი, სავსე ჩანჩქერებითა და გამჭვირვალე წყლით. მეტი შთაბეჭდილებებისთვის და კანიონის სილამაზით დატკბობისთვის იქირავეთ ნავი.

პრომეთეს მღვიმე

პრომეთეს მღვიმე, რომელიც აღმოაჩინეს 1984 წელს, მდებარეობს საქართველოში, ქალაქ წყალტუბოში. ამ წარმოუდგენელ მღვიმეს აქვს მიწისქვეშა ტბები და მდინარეები, სხვადასხვა ტიპის სტალაქტიდები და სტალაგმიტები. მღვიმეს აქვს სასიამოვნო და ეფექტური განათება, რომელიც სძენს მას ლამაზ სანახაობას. ეს ადგილი, დანამდვილებით, ეგზოტიკური და დაუვიწყარი მოგონებებისთვისაა.

ოკაცეს კანიონი

შემდეგი ადგილი, რომელიც უნდა ნახოთ საქართველოში, არის ოკაცეს კანიონი, რომელიც გარშემორტყმულია გასაოცარი მთებით. მეტალისა და ხის საფეხმავლო ბილიკი არაჩვეულებრივ პეიზაჟს ქმნის კანიონზე. კანიონის პეიზაჟი ძალიან მხატვრულია და მიმზიდველი. ფიცარფენილ ბილიკზე სეირნობისას თქვენ არამარტო ხეებისა და მთების სილამაზეს ნახავთ, არამედ რამდენიმე ჩანჩქერსაც.

სვანეთი

და ბოლო, მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, რაც საქართველოში უნდა ნახოთ არის ისტორიული მხარე - სვანეთი. სვანეთი კავკასიაში ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტია. სვანეთის საუცხოო ლანდშაფტში მთები დომინირებს. სვანეთი ბევრ რამეს სთავაზობს ბუნების მოყვარულებს, მოგზაურებს, ისტორიის მოყვარულებს და ადამიანებს, რომლებსაც სურთ გასინჯონ გემრიელი საჭმელი და გაიცნონ ალალი ადგილობრივები. სვანეთს აქვს შუასაუკუნეების საყარაულო კოშკები, რომლებიც წარმოადგენენ ღირშესანიშნავ ადგილებს. ველური თავგადასავალი კიდევ ერთი რამაა რაც სვანეთს შეუძლია შემოგთავაზოთ.

აქტიური საზოგადოება - დემოკრატიის გარანტი

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს კანონით გვაქვს მონიჭებული უფლება მონაწილეობა მივიღოთ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში და ჩვენი წვლილი შევიტანოთ რაიონის განვითარებაში. რაც უფრო მეტი იქნება მოსახლეობის აქტიურობა, სხდომებზე ხშირი დასწრება, დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა და ა.შ. მით უფრო შეძლებს საზოგადოება დაინახოს ის ბერკეტები რისი გამოყენებაც შეუძლია ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში. ნათქვამია „ჭეშმარიტება კამათში იბადებაო„, ასე რომ, გვინდა კიდევ ერთხელ მოგიწოდოთ საზოგადოებას მეტი აქტიურობისაკენ.

ხალხს უფლება აქვს იყოს აქტიური მონაწილე საკუთარი მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესში, რადგან მუნიციპალიტეტის გაძლიერება პირდაპირ განსაზღვრავს იქ მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობას და მომავალს, მითუმეტეს, ადგილობრივი თვითმმართველობა გულისხმობს, რომ მოსახლეობა თავად ირჩევს ადგილობრივ ორგანოებს. ბუნებრივია, საჯარო მოხელეები ვერ იმუშავებენ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, თუ მათ ეს ინტერესები არ გამოარკვიეს, ხოლო იმისათვის, რომ განსაზღვრონ მოსახლეობის რეალური საჭიროებები, მნიშვნელოვანია ამ პროცესში მოსახლეობის აქტიური ჩართვა როგორც პრობლემების გამოვლენაში, ასევე მათ მოგვარებაშიც. მოსახლეობის საჭიროებების განსაზღვრა და რაც მთავარია მათი მოგვარების გზების გადაწყვეტა საკრებულოს სხდომებზე განიხილება. ამ დროს მნიშვნელოვანია ყველა გამომსვლელის აზრი, დეპუტატი იქნება ის თუ დაინტერესებული მოქალაქე.

გვინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ, რომ საკრებულოს სხდომებზე დასწრება თავისუფალია. დღეს შენ დაესწრები სხდომას, ხვალ სხვა შემოგიერთდება, ზეგ ვინმე სხვაც მოვა და ასე ნელ-ნელა დაიმსხვრვა ერთეულებში შემორჩენილი აზრი, თითქოს მუნიციპალიტეტის შენობაში ხალხის შესვლა ვინმესთვის შეზღუდულია. სხდომის მიმდინარეობის დროს გარკვეულ საკითხს შეიძლება დისკუსია მოჰყვეს, გამოითქვას სხვადასხვა აზრი და სრულიად შესაძლებელია ამ დროს დამსწრე მოქალაქეს ყველაზე რეალური მოსაზრება გაუჩნდეს, თავისი აზრიც დააფიქსიროს და მოხდეს მისი აზრის გათვალისწინება კონკრეტულ შემთხვევაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება მოქალაქეების თანამონაწილეობა აუცილებელია იმისათვის, რომ უკეთ გამოვიყენოთ კანონიერი უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები გადავწყვიტოთ საზოგადოების ჩართულობით და თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

* * *

სხვისი ნაჭენები რად მინდა იაბო,
როცა მარგალიტის პატრონი თავად ვარ
და მაინც მჭირდება წარსულზე გიამბო,
მოდი, მე ვიქნები სიტყვების თამადა.
მოხდა საოცრება, აზრები მერევა,
ვხედავ არ გამომდის, მალამოდ დაგედო,
ვაითუ, ამ წელსაც ისეთი მეკვლე ვარ,
გზაში დამეკარგოს ოცნების საბედო.
რად მინდა წარსული, თუ ხვალე მკვდარია,
რად მინდა ამდენი უაზრო პირობა,
ვიცი, რომ ავდარზე ლამაზი დარია,
ვაი, რომ ჩაბარდა გარდასულს გმირობა.
ვაი, საქართველო ისეც პატარაა,
თქვენ ნუღარ აკუწავთ, ეყოფა ტკივილი.
საბრალო, ხომ ხედავთ ბედის ამარაა,
გაუსკდა გული და არ ისმის ჩივილი.
აღარ იწერება ხვალის ისტორია,
მარჯვენა მოკვეთეს მცხეთას არსაკიძეს.
პირმშოს ნათლავენ და სულ სხვა მირონია,
"ვეფხისტყაოსანი" ისევ არ აკინძეს.
ისევ გაიყიდა ჩვილი ისტამბულში,
ქალები თავისით გარბიან თათართან.
კაცი გამოუტყდა სხვა კაცს სიყვარულში,
ქართვლის ისტორიაც ამგვარად
დამთავრდა.
კმარა საქართველოვ! - გეყოფა მონობა!
ისევ გააჩინე ლეკვები ალგეთის.
ბავშვის და მოხუცის მოუნდათ მოსპობა,
ნუთუ დაყრუვდი და გოდება არ გესმის.
რატომ გაუძელი ამდენ კატაკლიზმებს,
თუკი შადიმანი კვლავ ტახტზე ავიდა...
მე ქართვლის დედა ვარ,
ვიცი რა მატირებს
და მაინც შენს იქით სიცოცხლე არ მინდა.
როგორ მოვუარო იანკის ბებიას,
როცა საკუთარი მიკვდება შიმშილით.
უტვინო გვმართავს და გენიას შებმიან,
მკვდარი შაჰ-აბასი ხარხარებს გიჟივით.
წვიმა წამოვიდა, შენი ცრემლებია,
ადე, შეიხვიე ძვირფასო იარა.
მთებზე გაზაფხულის ჭრელი ფერებია,
ხვალის დღეს დავლოცავ, დღევანდელს კი არა.

ნანა ცინცაძე

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი, ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში"

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45
ირმა ჯაჭვლიანი
ელ. ფოსტა:
Irma_ushba@yahoo. com